სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/04

(ოქმი N5)

ქ. ბათუმი 17 თებერვალი 2023 წ

მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2023 წლის 9 თებერვლის N02-19/416 წერილის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, 2023 წლის 9 თებერვლის N01-19/416 კორესპონდენციით გათვალისწინებული პირობებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განახორციელოს შპს ,,კია საქართველო''-სთან მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

2. აღნიშნული ხელშეკრულებით სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო'' განახორციელებს სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას 4 (ოთხი) წლის განმავლობაში, ჯამში 34 800 (ოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით. დაფინანსება განხორციელდება ყოველწლიურად, ეტაპობრივად, შემდეგი ოდენობებით:

- 2023 წელის საბიუჯეტო ასინებებით - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი;

- 2024 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით - 11 520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი;

- 2025 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით - 11 520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი;

- 2026 წლის საბიუჯეტო ასიგნებებოთ - 6960 (ექვსი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი